ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №65214

ნომერი: AR125839

თარიღი : 25.02.2012

გაცემის თარიღი : 01.03.2012

გაცნობის თარიღი : 02.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ თარხნიშვილი პ/ნ 01010012274
- ნუცუბიძის 3მ/რ კ-15, ბ #38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის შენობის (სატანსფორმატორო ქვესადგურის) მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ი.ბ.ა , ,,დიღმის სახლი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე(ნაკვ. #035/579) წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის შენობის (სატრანსფორმატორო ქვესადგურის) მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას .

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ი.ბ.ა ,,დიღმის
სახლი,,– მიწის ნაკვეთისამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011620758, საკადასტრო კოდი #01.72.14.035.579 და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ი.ბ.ა ,,,დიღმის სახლი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე(ნაკვ. #035/579) წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე I კლასის შენობის (სატრანსფორმატორო ქვესადგურის)მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას .

ამასთან გასათვალისწინებელია :

– საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შენთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა ;

–შენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/ მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც აცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას
მეზობლის მიწის ნაკვეთში;

–სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადიმასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ხეხცლგამძლე ხსნარით;

– დაცული უნდა იქნას სახანძრო და სანიტარული დაცვის უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები;

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.